საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/ 04

ქ. ბათუმი 10 თებერვალი, 2022 წ.

ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 24-ე მუხლების, წესდების მე–10 და მე-15 მუხლების, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის N07-01/37 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) 2022 წლის 7 თებერვლის N119467, 07/02/22 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2022 წლის 10 თებერვლიდან განხორციელდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია, კერძოდ, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს გამოეყოს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება, გაერთიანდეს შრომის უსაფრთხოების სამსახურთან და **შეიქმნას დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური.**
2. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების, ასევე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილებით განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების გათვალისწინებით **დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურა** წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** შესაბამისად.
3. <u>2022 წლის 10 თებერვლიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:</u>

   ა) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის

დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N06 გადაწყვეტილება;
ბ) ,,ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/50 გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**